<u>ტექნიკური დახასიათება</u>

**აგგს-ის ოპერატორ-გამმართველის ზაფხულის ბრენდირებული სპეც-ტანსაცმლის შარვალი**

სწორი, ჩაშვებული. წინა ნაწილზე დახრილი ჯიბეები. შუა წვივზე შარვალს, ტოტის გარშემო მიკერებული აქვს 3 სმ სიგანის მანათობელი. შარვალს მარჯვენა და მარცხენა მხარეს, გვერდით ნაკერზე აქვს მოცულობითი ჯიბე. ჯიბის კანტი შესრულებილია სხვა ფერის ქსოვილით, ჯიბე იკვრება ფხრიწით. შარვალს უკანა ნაწილზე საჯდომის მიდამოში აქვს ორი ზედნადები წახნაგოვანი ჯიბე. ჯიბეს აქვს სხვა ფერის სარქველი, რომელიც იკვრება ტექნიკური შესაკრავით (ფხრიწით) შარვლის ქამარი 4 სმ-ია. ქამრის უკანა ნაწილი დამუშავებულია რეზინით. შარვალს აქვს 5 საქამრე, შარვლის ბოლო დამუშავებულია 2 სმ_იანი რეზინიანი შენაკეცით, შარვალი იკვრება ელვა შესაკრავით, ერთი ღილით და ღილკილოთი.

**აგგს-ის ოპერატორ-გამმართველის ზაფხულის ბრენდირებული სპეც-ტანსაცმლის მაისური**

მამაკაცის მაისური პოლოს სტილის, შესრულებულია 2 ფერში, მაისური არის სწორი სილუეტის, იკვრება 3 ღილზე და ღილკილოზე, სახელო მოკლე. ბოლო რეზინის მანჟეტით, საყელო გადაფენილი, გარეზინებული. მარცხენა მხარეს ერთი ჯიბე.

მანჟეტი და საყელო შესრულებულია სხვა ფერში, ბოლო შეკეცილია 2 სმ-იანი შენაკეცით.

**აგგს-ის ოპერატორ-გამმართველის შემოდგომა-გაზაფხულის ბრენდირებული სპეც-ტანსაცმლის ქურთუკი**

სამუშაო შესრულებულია ორ ფერში. ქვედა ნაწილი ლურჯი, ზედა ნაწილი სალათისფერი. ზედა ნაწილის ბოლოში დაკერებულია 3 სმ-იანი მანათობელი. ზედა ნაწილზე დაკერებული აქვს ორი ჯიბე. მარცხენა ჯიბეზე მიკრული აქვს გამჭვირვალე პლასტიკი ბეიჯის ჩასადებად. ქვედა ნაწილზე აქვს დახრილი ჯიბეები, იკვრება ელვით. ზურგიც არის ორ ნაწილიანი. შუა მკლავზე დაკერებული აქვს 3 სმ-იანი მანათობელი. მკლავებს ბოლოში აქვს მანჟეტები. ქურთუკი ბოლოვდება მანჟეტით.

**აგგს-ის დასუფთავების თანამშრომლის ბრენდირებული სპეც-ტანსაცმლის წინსაფარი**

წინსაფარი კაბა, გვერდებზე იკვრება ღილებით. აქვს ორი ჯიბე.

**აგგს-ის ოპერატორ-გამმართველის ფეხსაცმელი**

გარე მხარე: წყალგაუმტარი და ზეთგამძლე ტყავი მუქი ფერის. ძირი: ქიმიურად მდგრადი კაუჩუკი, მეტალის დამცავი ძირით. წინა მხარე: წვეტი მეტალის დამცავი ფირფიტით.